

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “პან ეუროპიან ფეშენ გრუპ”

31 დეკემბერი 2023



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	11
2 შედგენის საფუძველი	12
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	12
2.2 მომზადების საფუძველი	12
2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	12
2.4 შვილობილი კომპანიები	12
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები	12
3.1 ზოგადი პირობები	12
3.2 კონსოლიდაციის საფუძველი	13
3.3 უცხოური ვალუტა	13
3.4 ძირითადი საშუალებები	13
3.5 არამატერიალური აქტივები	14
3.6 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	14
3.7 იჯარა	14
3.8 სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15
3.9 ფინანსური ინსტრუმენტები	15
3.10 ფული და ფულის ექვივალენტები	17
3.11 კაპიტალი	17
3.12 ანარიცხები	17
3.13 მოგების გადასახადი	17
3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	18
3.15 შემოსავალი	18
4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები	19
5 შემოსავალი	20
6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	20
7 ადმინისტრაციული ხარჯები	20
8 დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი	21
9 მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	21
10 ძირითადი საშუალებები	22

11	გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	22
12	გადახდილი ავანსები	23
13	სასაქონლო მატერიალური მარაგები	23
14	სესხები	24
15	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
17	კაპიტალი	26
18	ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	26
19	გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები	26
19.1	ვალდებულებები	26
19.2	სამართალწარმოება	26
19.3	დაზღვევა	27
19.4	გადასახადები	27
19.5	გარემოს დაცვა	27
20	შემდგომი მოვლენები	27
21	დაკავშირებული მხარეები	27
21.1	საკონტროლო ურთიერთობები	27
21.2	ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21.3	ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან	29
	2023 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	30
1.	ჯგუფის ძირითადი საქმიანობის აღწერა	30
2.	ჯგუფის ფილიალები	30
3.	ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	31
4.	ჯგუფის მართვა და სტრუქტურული ერთეულები	33
5.	ჯგუფის მიერ განხორციელებული გეგმები და განვითარების სტრატეგიები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანტ თორნტონ

ს/ნ: 200136600

საქართველო, თბილისი-0144

ქეთევან წამებულის გამზირი, № 54

ტ.: + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

I/N: 200136600

54, Ketevan Tsamebuli avenue,

Tbilisi-0144, Georgia

T.: + 995 322 604 406

შპს “პან ევროპიან ფემენ გრუფ”-ის მფლობელებსა და ხელმძღვანელებს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს „პან ევროპიან ფემენ გრუპის“ („ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას თანდართულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველ“-ში აღწერილი საკითხების მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

მარაგების ინვენტარიზაცია

ჩვენ არ დავსწრებივართ ჯგუფის შვილობილი კომპანიის, შპს "ლიდერ სისტემის", მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც წარმოადგენს შეზღუდვას ჩვენი აუდიტის პროცედურებისთვის. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერც სხვა ალტერნატიული საშუალებით მოვიპოვეთ რწმუნება მარაგებთან დაკავშირებით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 7,091 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების ნამთებთან, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ჩართულ იმ ელემენტებთან დაკავშირებით, რომლებზეც გავლენას მოახდენდა მარაგების კორექტირება.

ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია

ჯგუფს არ ჩაუტარებია თავისი ქონებისა და აღჭურვილობის ინვენტარიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, ჩვენ ვერ დავსწრებით მისი ქონებისა და აღჭურვილობის ფიზიკურ დათვლას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის ჩანაწერების ბუნებიდან გამომდინარე, ჩვენ ვერც სხვა ალტერნატიული საშუალებით მოვიპოვეთ რწმუნება ძირითად საშუალებების არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესაბამისად წარმოდგენილია 7,132 ათასი ლარის ოდენობით, რაც წარმოადგენს ჯგუფის აქტივების 22%-ზე მეტს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

არსებულ ძირითადი საშუალებების ნაშთებში, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში ჩართულ იმ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებზეც გავლენას მოახდენდა ძირითადი საშუალებების კორექტირება.

საწესდებო კაპიტალი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაბამისი აუდიტის მტკიცებულება ჯგუფის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის გადახდილი წვლილების შესახებ მისი დაფუძნების თარიღის, 2019 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით. გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ალტერნატიული მტკიცებულება ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის სისრულისა და სიზუსტის დასადასტურებლად.

შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დაკავშირებულ ელემენტებში.

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებსა და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ შემოადინებულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის პროცესში ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და
- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად („IFRS მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“), და ისეთი შიდა კონტროლისთვის, რომელსაც ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ აუცილებელია მომზადდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აუდიტორის დასკვნის გამოცემა. თუმცა, ჩვენი „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ საფუძველზე აღწერილი საკითხების გამო, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რათა გამოგვეთქვა მოსაზრება ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენ ჯგუფისგან დამოუკიდებლობა ვართ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA კოდექსი“) შესაბამისად, ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც რელევანტურია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენს აუდიტთან საქართველოში, და ჩვენ შევასრულეთ ჩვენი ეთიკური მოვალეობები ამ მოთხოვნების შესაბამისად.

შპს გრანტ თორნტონ-ის სახელით


ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

24 დეკემბერი 2024

თბილისი, საქართველო



კონსოლიდირებული მოგება- ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

000' ქართული ლარი

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	5	47,390	46,055
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	(20,800)	(18,906)
მთლიანი მოგება		26,590	27,149
სხვა შემოსავალი		-	-
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	8	(2,735)	(1,953)
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(19,249)	(16,938)
არადაბრუნებადი საგადასახადო აქტივების ჩამოწერა		-	(323)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		4,606	7,935
ფინანსური შემოსავალი		34	54
ფინანსური ხარჯი		(225)	(39)
მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობიდან	9	(404)	(93)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		690	536
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(987)	(12)
წლის მოგება მოგების გადასახადამდე		3,714	8,381
მოგების გადასახადის ხარჯი		(31)	(26)
წლის მოგება		3,683	8,355
წლის მთლიანი სრული მოგება		3,683	8,355

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 24 დეკემბერი:

ნინო ხულოელიძე

დირექტორი

ნ. ხულოელიძე

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

000' ქართული ლარი

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	7,132	4,203
არამატერიალური აქტივები		42	13
		7,174	4,216
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	13	11,941	10,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		2,018	465
გაცემული სესხები	11	950	2,080
მისაღები პროცენტები	11	24	75
გადახდილი ავანსები	12	2,213	2,989
საგადასახადო აქტივი, წმინდა		1,007	431
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	18	6,664	4,739
		24,817	21,399
სულ აქტივები		31,991	25,615
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
აკუმულირებული მოგება	17	18,004	14,321
		18,004	14,321
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები		1,701	-
		1,701	-
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	8,063	7,152
სესხები	14	4,223	4,142
		12,286	11,294
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,991	25,615

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 24 დეკემბერს:

ნინო ხუთელიძე

დირექტორი

6. ხუთელიძე

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 30 გვერდებზე წარმოდგენილ
ასსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

000' ლარი

	აკუმულირებული მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი	5,966	5,966
წლის მოგება	8,355	8,355
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	8,355	8,355
2022 წლის 31 დეკემბერი	14,321	14,321
წლის მოგება	3,683	3,683
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	3,683	3,683
2023 წლის 31 დეკემბერი	18,004	18,004

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 24 დეკემბერს:

ნინო ხუდელიძე

დირექტორი

ნ. ხუდელიძე

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

000' ქართული ლარი	მენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები		54,510	53,966
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(41,187)	(38,322)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(5,008)	(4,408)
სხვა შემოსვლები		194	260
სხვა გადახდები		(476)	(121)
გადახდილი პროცენტი	14	(224)	(29)
გადახდილი გადასახადები		(6,145)	(5,684)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,664	5,662
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა	14	(867)	(1,825)
სესხების გაცემა		(277)	(1,975)
მიღებული სესხის ზრდა		3,810	-
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		2,666	(3,800)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(2,240)	(1,018)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(2,240)	(1,018)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა			
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	9	(165)	(737)
ფული ხელზე და საბანკო ანაგრიშებზე პერიოდის დასაწყისში	18	4,739	4,632
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	18	6,664	4,739

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 24 დეკემბერს:

ნინო ხულოელიძე

დირექტორი

ნ. ხულოელიძე

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 11- 30 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით მენიშვნებთან ერთად.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „პან ეუროპიან ფეშენ გრუფ“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 2019 წლის 26 დეკემბრის საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში. ჯგუფის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404590518. ჯგუფი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ჯგუფის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედანი, N2.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა „New Yorker“-ის, „Burberry“-ისა და „Polo“-ს ბრენდის ტანსაცმლის, ფეხსაცმელების, აქსესუარებისა და სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

2023 წლის განმავლობაში ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა იყო 157 თანამშრომელი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში - 195 თანამშრომელი.

შპს „პან ეუროპიან ფეშენ გრუფი“-ს დამფუძნებლებს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ :

- ჰაიკ ხაჩატრიანი (AR0614519, სომხეთი) - (50%) და;
- შპს „ზეტ ენდ ეი“ (00859794, 39157427, სომხეთი)- (50%), რომლის მფლობელია ფიზიკური პირი ლუკას ხაჩატრიანი (AP0541596, სომხეთი).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დირექტორი იყო ნინო ხუთელიძე.

ბიზნეს გარემო

პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მომხდარ ცვლილებებს და საქართველოში იურიდიული, საგადასახადო და საკანონმდებლო სისტემების ცვლილებებს განგრძობითი ხასიათი აქვს. საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობა და განვითარება დიდწილად დამოკიდებულია ამ ცვლილებებზე. მთავრობამ განაახლა ქმედებები უკეთესი მართვისთვის, მათ შორის გაზარდა ანტიკორუფციული ძალისხმევა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულების პასუხისმგებლობა.

ომი უკრაინაში

უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს დაიწყო კონფლიქტი, რომელიც სწრაფად განვითარდა და მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. შეერთებულმა შტატებმა და ევროპის ქვეყნებმა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესეს. დასავლეთის ქვეყნები არსებული სანქციების გაფართოებას განიხილავენ. სანქციების გატარების მყისიერი გლობალური შედეგები იყო მაღალი ინფლაცია, დაბალი ზრდა და ფინანსური ბაზრების გარკვეული შეფერხება.

უკრაინის კონფლიქტმა გამოიწვია ათასობით რუსისა და უკრაინელის საქართველოში გადმოსახლება. ეს მოიცავდა არა მხოლოდ ფიზიკურ პირებს, არამედ ბიზნესებსაც, რომლებიც დაარსებული იყო და ფუნქციონირებდა ამ ქვეყნებში. აღნიშნულის შედეგად გაიზარდა უცხოური ვალუტის შემოდინება ქართულ ბაზარზე, რამაც გამოიწვია ქართული ლარის მნიშვნელოვანი გამყარება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში.

რუსეთის არასამართლიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ზოგადად რეგიონში ბიზნეს გარემოზე და ასევე ჯგუფის მომავალ ოპერაციებსა და ფინანსურ სტაბილურობაზე, რომლის სრული შედეგების პროგნოზირება ამჟამად რთულია. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა ჯგუფის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ადარ ელის ლარის შემდგომ გამყარებას აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო მეტი უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს ზემოაღნიშნულის პოტენციურ მომავალ გავლენას ჯგუფის ოპერაციებზე.

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის მეთოდსა და ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის საოპერაციო ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ქართულ ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

2.4 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის შემდეგი შვილობილი კომპანიები:

31 დეკემბერი 2023

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შექმნის თარიღი
შპს “Isola-G”	100%	საქართველო	26 დეკემბერი 2019	საცალო	26 დეკემბერი 2019
შპს “ლიდერ სისტემ”	100%	საქართველო	26 დეკემბერი 2019	საცალო	26 დეკემბერი 2019

31 დეკემბერი 2022

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია	შექმნის თარიღი
შპს “Isola-G”	100%	საქართველო	26 დეკემბერი 2019	საცალო	26 დეკემბერი 2019
შპს “ლიდერ სისტემ”	100%	საქართველო	26 დეკემბერი 2019	საცალო	26 დეკემბერი 2019

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 ზოგადი პირობები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია ხდება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი ჯგუფისა და მისი ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. ყველა შვილობილი კომპანია აქვს ანგარიშგების თარიღი 31 დეკემბერი.

კომპანიებს შორის ყველა ტრანზაქცია და ნაშთი აღმოიფხვრება კონსოლიდაციისას, მათ შორის არარეალიზებული მოგება და ზარალი ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციებიდან. როდესაც ჯგუფის მიგნით აქტივების გაყიდვებიდან არარეალიზებული ზარალი შებრუნებულია კონსოლიდაციისას, ძირითადი აქტივი ასევე შემოწმდება გაუფასურებაზე ჯგუფის თვალსაზრისით. შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებში ანგარიშგებული თანხები კორექტირებულია, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მიერ დამტკიცებულ სააღრიცხვო პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

წლის განმავლობაში შეძენილი ან გაყიდული შვილობილი კომპანიების მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია შეძენის ეფექტური თარიღიდან, ან გაყიდვის ძალაში შესვლის თარიღამდე, შესაბამისად..

ჯგუფი ანიჭებს მთლიან შემოსავალს ან შვილობილი კომპანიების ზარალს მშობელი კომპანიის მფლობელებსა და არაკონტროლირებად წილებს შორის მათი შესაბამისი საკუთრების ინტერესებიდან გამომდინარე.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8840 ლარი). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო გადასახადებს, სხვა არადაბრუნებად გადასახადებსა და შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. როცა ძირითადი საშუალება შედგება რამოდენიმე არსებითი კომპონენტისაგან, რომლებსაც სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, მაშინ ასეთი კომპონენტები აღირიცხებიან ცალკე-ცალკე ძირითად საშუალებებად.

აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას მიღებული ანაზღაურების ღირებულებასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცალკე ერთეულად აღრიცხული ძირითადი საშუალების კომპონენტის ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულების შესაბამისად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის აქტივის რემონტის დანახარჯები, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი გაწვევითანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. აქტივების სასიცოცხლო პერიოდები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია:

ავეჯი და ინვენტარი	- 3- 20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	- 3-5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5-15 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო ვადები და ამორტიზაციის მეთოდები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკატორი, კორექტირდება პერსპექტიულად.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

3.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია ირიცხება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამულ უზრუნველყოფაზე და სხვა არამატერიალურ აქტივებზე სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

3.6 ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად დაუყოვნებლივ.

როცა გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არარსებობის შემთხვევაში. გაუფასურების აღდგენა დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.7 იჯარა

ჯგუფი როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იმის დადგენა, იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. ქვემოთ ჩამოთვლილია ისეთი სიტუაციის მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად განაპირობებს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

(ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

(ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების

გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

(გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

(დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

(ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

აღრიცხვა და აღიარება

ფინანსური იჯარა

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დამატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის დროს მოიჯარემ საიჯარო გადასახდელები ხარჯად უნდა აღიაროს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას.

ჯგუფს იჯარით აქვს აღებული კომერციული ფართები მთავარ სავაჭრო მოვლებში თბილისსა და ბათუმში საოპერაციო საქმიანობის მიზნებისთვის და საიჯარო გადასახდელებს აღიარებს როგორც ხარჯს, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მარაგების შესყიდვის, კონვერსიის და სხვა დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ ადგილზე მიტანასთან და არსებულ მდგომარეობაში მოსაყვანად. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, ხომ არ გაუფასურდა მარაგი. თუ მარაგი გაუფასურებულია, ჯგუფი მარაგის საბალანსო ღირებულებას ამცირებს მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელმეკრულებო პირობების მონაწილე.

იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით, რეალური ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით, რომლებიც თავდაპირველად რეალური ღირებულებით ფასდება, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია) დაკორექტირებული რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელმეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები, გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები, რეალური ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივების მიკუთვნება სხვადასხვა კატეგორიაზე ხდება მათი თავდაპირველი აღიარებისას, რაც დამოკიდებულია ინსტრუმენტის მახასიათებლებზე და მის დანიშნულებაზე. ფინანსური ინსტრუმენტის კატეგორია რელევანტურია მისი შეფასების მეთოდის და მიღებული შემოსავლის და ხარჯების აღიარების, რომელიც ხდება მოგებაში ან ზარალში ან სხვა მთლიან შემოსავალში.

ზოგადად, ჯგუფი აღიარებს ყველა ფინანსურ აქტივს ანგარიშსწორების თარიღის აღრიცხვის გამოყენებით. შეფასება იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, კეთდება ყოველ საანგარიშგო თარიღში. ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსურ ხარჯებში, ფინანსურ შემოსავალში ან სხვა ფინანსურ მუხლებში, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯებში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და დებიტორული დავალიანება არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებს, ასევე ფულად და საბანკო ნაშთებს.

I. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების მიხედვით ყველა კუთვნილი თანხის მიღებას. მოვალის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები და გადაუხდელობა და ვადაგადაცილება ითვლება სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების ინდიკატორად. რეზერვის ოდენობა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, დისკონტირებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

რეზერვის ნაშთი კორექტირდება საანგარიშგო პერიოდის მოგება-ზარალში ხარჯის ან შემოსავლის აღრიცხვით. ნებისმიერი ჩამოწერილი თანხა მომხმარებელთა ანგარიშის ნაშთებთან მიმართებაში ირიცხება საექვო ანგარიშების არსებული რეზერვებიდან. ჩამოიწერება ყველა დებიტორული დავალიანება, რომლის ამოღება შეუძლებლადაა მიჩნეული.

II. ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშები

ჯგუფის ფული და საბანკო ანგარიშები მოიცავს ნაღდ ფულს და ნაშთებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ

შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება-ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

3.10 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

3.11 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის მფლობელების მიერ განხორციელებულ შენატანებს ჯგუფის კაპიტალში. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის მფლობელების მიერ. ცვლილებები ჯგუფის საწესდებო კაპიტალში ხორციელდება ჯგუფის მფლობელების მიერ.

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების გაუნაწილებელ მოგებას ან ზარალებს.

დამფუძნებლებთან დაკავშირებული ტრანზაქციების აღრიცხვა კაპიტალში ხდება განცალკევებულად.

დივიდენდები ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდება.

3.12 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გაღწევა. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას და სადაც შესაფერისია, ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციალურ რისკებს.

3.13 მოგების გადასახადი

მიმდინარე გადასახადი არის მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება/(ჩათვლა) დასაბეგრ წლიურ შემოსავალზე, ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით და გასული წლის საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კორექტირებით.

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, რომელიც მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან (“მოგების გადასახადის ესტონური მოდელი”) გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიშობა მოგების დივიდენდების სახით განაწილებისას ხარჯად აღიარდება დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად დივიდენდების ფაქტობრივი გადახდის თარიღისა. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

საქართველოში მოქმედი მოგების გადასახადის დარიცხვის პრინციპიდან გამომდინარე, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საწარმოს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილებისას, უფლება აქვს ჩაითვალოს შესაბამისი წლის მოგების

გადასახადი, რაც გადახდილი აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული მოგებიდან. ასეთ შემთხვევაში, ჩასათვლელი თანხა არ უნდა აღემატებოდეს გადასახადის იმ თანხას (15%), რასაც ჯგუფი გადაიხდიდა საქართველოში.

3.14 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

- (ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;
- (ბ) წლიურ ფასიან შვებულებებსა და ბიულეტენის ანაზღაურებებს;
- (გ) სოციალური შენატანები და სხვა სოციალური გადასახადები;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში ჯგუფს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, ჯგუფმა უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარ გადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

ბონუსები

გადასახდელი ბონუსების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად ჯგუფს აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც ჯგუფს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

3.15 შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს ჯგუფის საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას საქონლის/მომსახურების გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. შემოსავალი ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებების და გაცემული ფასდაკლებების გამოკლებით. თუ ჯგუფია მყიდველს უპროცენტო კრედიტს აძლევს, შემოსავალი აღიარებულია მომავალი გადახდების ამჟამინდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- (ბ) ჯგუფი არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- (დ) მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ჯგუფის შემოსავალი უმეტესად მოიცავს მაღაზიებში და საწყობებში ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების და სამშენებლო მასალის გაყიდვიდან მიღებულ ანაზღაურებებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, გაყიდვის მომენტში, როდესაც საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მომხმარებელს.

ჯგუფის გაყიდვების პოლიტიკიდან გამომდინარე, მომხმარებლებს უფლება აქვთ უკან დააბრუნონ საქონელი 2 კვირის განმავლობაში ფულის უკან დაბრუნების ან სხვა საქონელში გადაცვლის მოთხოვნით. ფულის დაბრუნების შემთხვევაში ჯგუფის მიერ ხდება უკვე აღიარებული შემოსავლის გაუქმება. საქონლის გაცვლის შემთხვევაში, ადგილი არ აქვს შემოსავლებთან დაკავშირებულ დამატებით ადრიცხვას, რადგან აღნიშნულ შემოსავლის თანხებზე გავლენა არ აქვს.

4 გადამწყვეტი მნიშვნელობის სააღრიცხვო განსჯა და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი მიზეზები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომელიც მე-3 შენიშვნაშია აღწერილი, ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგავრი შეფასებებისგან.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

მარაგები

ხელმძღვანელობა აფასებს ნელა მოძრავი მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას და ითვალისწინებს ყველაზე სანდო შესაძლებელ მტკიცებულებას თითოეული საანგარიშგემო პერიოდისთვის. მარაგების სამომავლო რეალიზაციაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიებმა ან სხვა საბაზრო ცვლილებებმა, რამაც შესაძლოა შეამციროს მომავალი გადასაყიდი ფასები.

5 შემოსავალი

ჯგუფის შემოსავალი წარმოადგენს ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა, აქსესუარების და სამშენებლო მასალების „New Yorker“-ის, „Burberry“-ისა და „Polo“-ს ბრენდის საქონლის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის შემოსავალი საქონლის ტიპების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები	8,982	5,514
ტანსაცმელი	27,302	29,053
ფეხსაცმელი	7,984	7,114
აქსესუარები	3,122	4,374
	47,390	46,055

6 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება საქონლის ტიპების მიხედვით იხილეთ ქვემოთ:

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სამშენებლო მასალები	4,664	3,532
ტანსაცმელი	12,689	10,219
ფეხსაცმელი	2,879	2,712
აქსესუარები	568	2,443
	20,800	18,906

7 ადმინისტრაციული ხარჯები

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფრანჩიზის ხარჯი	5,202	4,930
საიჯარო ხარჯი	5,772	5,096
ხელფასის ხარჯი	3,955	3,703
ცვეთა და ამორტიზაცია	1,153	983
საექვო ვალი	645	-
ბანკის მომსახურების ხარჯი	471	446
კომუნალური ხარჯი	464	435
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	318	218
ოფისის ხარჯები	115	107
მივლინების ხარჯები	109	100
შეკეთების ხარჯები	87	169
საკონსულტაციო ხარჯები	69	101
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	58	65
საკანცელარიო ხარჯები	31	42
დაზღვევის ხარჯი	13	25
ტრანსპორტირების ხარჯები	6	43
სხვა ხარჯები	781	475
	19,249	16,938

ფრანჩიზის ხარჯი წარმოადგენს ჯგუფის მიერ მომწოდებელზე გადახდილ სარეალიზაციო ფასის 50%-სა და იმპორტირებული მარაგების საინვოისო ღირებულებას შორის სხვაობას, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფის მთავარ მომწოდებელთან (ფრანჩიზორთან).

* - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტმა აღმოაჩინა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად ჰქონდა განაწილებული 297 ათასი ლარის ოდენობის ხელფასის ხარჯი გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებს შორის. შეცდომა გამოსწორდა შესაძარისი პერიოდის მაჩვენებლის გადამოწმებით (იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 8).

8 დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯი

ჯგუფის მარკეტინგული ხარჯები ძირითად მოიცავს მარკეტინგული მომსახურების საფასურს, რომელსაც ჯგუფი უხდის მეიჯარეებს სავაჭრო ცენტრებში ბეჭდური ან ციფრული ფორმით სარეკლამო საშუალებების განთავსების სანაცვლოდ.

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
დისტრიბუციის ხარჯები	1,136	1,164
მარკეტინგის ხარჯები	855	404
ხელფასის ხარჯები	736	362
სხვა ხარჯები	8	23
	<u>2,735</u>	<u>1,953</u>

* - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტმა აღმოაჩინა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად ჰქონდა განაწილებული 297 ათასი ლარის ოდენობის ხელფასის ხარჯი გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯებსა და ადმინისტრაციულ ხარჯებს შორის. შეცდომა გამოსწორდა შესაძარისი პერიოდის მაჩვენებლის გადამოწმებით (იხილეთ აგრეთვე შენიშვნა 7).

9 მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
წმინა მოგება/(ზარალი) გაცემულ სესხებზე	(196)	334
წმინა მოგება/(ზარალი) მიღებულ სესხებზე	28	(212)
წმინა მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	(134)	537
წმინა მოგება/(ზარალი) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	63	(15)
წმინა მოგება/(ზარალი) ნაღდ ფულსა და საბანკო ანგარიშებზე	(165)	(737)
	<u>(404)</u>	<u>(93)</u>

10 ძირითადი საშუალებები

000' ქართული ლარი

	ავეჯი და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი 2022	2,672	420	4,897	273	-	8,262
შემოსვლა	210	66	1,349	-	-	1,625
31 დეკემბერი 2022	2,882	486	6,246	273	-	9,887
შემოსვლა	735	317	3,258	52	37	4,399
ჩამოწერა	(28)	(284)	-	(6)	-	(318)
31 დეკემბერი 2023	3,589	519	9,504	319	37	13,968
აკუმულირებული ცვეთა						
1 იანვარი, 2022	1,866	99	2,644	92	-	4,701
წლის ცვეთა	325	16	642	-	-	983
31 დეკემბერი, 2022	2,191	115	3,286	92	-	5,684
წლის ცვეთა	311	44	683	109	5	1,152
31 დეკემბერი, 2023	2,502	159	3,969	201	5	6,836
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2022	691	371	2,960	181	-	4,203
31 დეკემბერი, 2023	1,087	360	5,535	118	32	7,132

საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხითვის, 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ჯგუფს უზრუნველყოფაში ჰქონდა ჩადებული ყველა ძირითადი საშუალება.

ცვეთის ხარჯი ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანაგარიშებაში.

11 გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

000' ქართული ლარი

	ძირი თანხა	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხები		
შპს „Z&A“	652	1,792
შპს NORK HUNGARY	298	288
	950	2,080

000' ქართული ლარი	პროცენტი	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
მისაღები პროცენტი გაცემულ სესხებზე		
შპს „Z&A“	-	52
შპს NORK HUNGARY	24	23
	24	75

2022 წლის 12 აპრილს ჯგუფსა და შპს Z&A-ს შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 550 ათასი ევროს გაცემის თაობაზე, წლიური 6%-იანი სასესხო განაკვეთით და დაფარვის თარიღით - 2024 წლის 31 დეკემბერი.

2022 წლის 19 აპრილს ჯგუფსა და შპს Z&A-ს შორის კვლავ გაფორმდა სესხის ხელშეკრულება 40 ათასი ევროს გაცემის თაობაზე, წლიური 6%-იანი სასესხო განაკვეთით და დაფარვის 6-თვიანი ვადით.

2023 წლის 19 იანვარს ხელი მოეწერა მოთხოვნის აღიარებისა და ურთიერთჩათვლის შეთანხმებას ჯგუფს, ლუკას ხაჩატურიანს (შპს Z&A-ის დირექტორს) და შპს Z&A-ის შორის. ამ შეთანხმების საფუძველზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოხდებოდა შპს Z&A-ზე გაცემული 590 ათასი ევროს ოდენობის სესხის ურთიერთჩათვლა ლუკას ხაჩატურიანისგან მიღებულ 477 ათასი ევროს ოდენობის სესხთან (იხილეთ შენიშვნა 14). 113 ათასი ევროს ნაშთი წარმოადგენს ჯგუფის მიმართ Z&A LLC-ისგან მისაღებ თანხას.

2023 წლის 28 მარტს ჯგუფმა Z&A LLC-ს დამატებითი სესხის ტრანში გამოუყო 100 ათასი ევროს ოდენობით.

2019 წლის 4 ოქტომბერს ჯგუფმა გასცა სესხი შპს NORK HUNGARY-ზე 40 ათასი ევროს ოდენობით და დამატებით 2019 წლის 12 დეკემბერს 100 ათასი ევროს ოდენობით. 40 ათასი ევროს დაფარვა მოხდა 2019 წლის ბოლოს. 2019 წლის შემდეგ არ მომხდარა სესხების დაბრუნება (არც ძირი არც პროცენტი), რადგან ჯგუფის მიერ შპს NORK HUNGARY-ზე გაცემული და დაუფარავი სესხი 100 ათასი ევროს ოდენობით საქონლის სახით (იგულისხმება ტანსაცმელი) დაუბრუნდა ჯგუფს. 2022 წლის სექტემბერში გაფორმდა ხელშეკრულება ჯგუფსა და შპს NORK HUNGARY-ს შორის, დარჩენილი სესხის დასაფარად, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯერ კიდევ ხელმოუწერელია. 2023 და 2022 წლებში დაუფარავ სესხზე საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა არ მომხდარა.

2023 წელს გაცემულ სესხებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 34 ათასი ლარი (2022 წელს 54 ათასი ლარი).

12 გადახდილი ავანსები

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	931	1,132
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,282	1,857
	2,213	2,989

13 სასაქონლო მატერიალური მარაგები

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდად არსებული მარაგები	10,949	10,007
სხვა მარაგები	992	613
	11,941	10,620

ჯგუფის საქონლის შესყიდვის მოკლე საკრედიტო პერიოდიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ხდება წინა კოლექციის ამოყიდვა ჩამოფასებული ღირებულებით, ჯგუფს არ აქვს მოძველებული ან ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე მეტად შეფასებული მარაგი.

საქართველოს ბანკისგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს უზრუნველყოფაში ჩადებული ჰქონდა 2,000,000 დოლარის მაქსიმალური ოდენობის სასაქონლო მატერიალური მარაგები.

14 სესხები

000' ქართული ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
<i>არაუზრუნველყოფილი</i>				
<i>სესხები დაკავშირებული</i>				
<i>მხარეებისგან</i>				
ნორაირ ხაჩატრიანი	-	1,363	-	-
ჰაიკ ჰაჩატრიანი	2,772	2,779	-	-
<i>უზრუნველყოფილი საბანკო</i>				
<i>სესხები</i>				
საქართველოს ბანკი	1,451	-	1,701	-
	4,223	4,142	1,701	-

ჯგუფმა ნორაირ ხაჩატრიანისგან მიიღო სესხის სხვადასხვა ტრანშები 2011-2015 წლების განმავლობაში როგორც დოლარში, ისე ევროში, 3-5 წლამდე დაფარვის ვადით და 0%-იანი წლიური სასესხო განაკვეთით. ჯამურმა ტრანშებმა ორიგინალ ვალუტაში შეადგინა 336,307 დოლარი და 189,000 ევრო. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ განუხორციელებია სესხთან დაკავშირებული არცერთი გადახდა.

2020 წლის 11 ნოემბერს ნორაირ ხაჩატრიანის გარდაცვალების გამო, მისი მემკვიდრეობა გადაეცა მის მემკვიდრეებს. ჯგუფსა და მემკვიდრეებს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება (4 იანვარი 2023, სესხის გადახდის აქტი), რომლის საფუძველზეც სესხის დაფარვის აქტის თარიღისთვის არსებული სესხების: 301,847 დოლარის (შეთანხმების თარიღისთვის არსებული კურსით - 287,085 ევრო) და 189,631 ევროს ოდენობით (სულ 476,716 ევროს სასესხო მოთხოვნა) გადახდა მოხდება ღუკას ხაჩატრიანისთვის და შესაბამისად ღუკას ხაჩატრიანი ხდება ჯგუფისგან დარჩენილ სესხზე არსებული მოთხოვნის უფლებამოსილი. სესხის გადახდის აქტის თარიღის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს სესხის მოთხოვნები (ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი) 590,000 ევროს ოდენობით Z & A CO. LLC-ის მიმართ, რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის, ღუკას ხაჩატრიანის მიერ. შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ Z & A CO. LLC-ის მიმართ 590,000 ევროს სესხის მოთხოვნა უნდა იქნას გათვალისწინებული ღუკას ხაჩატრიანის მიმართ 476,716 ევროს სესხის ვალდებულების სანაცვლოდ.

2023 წლის 19 იანვარს, დამატებითი სამხმრივი კომპენსაციის შეთანხმება გაფორმდა ჯგუფს, ღუკას ხაჩატრიანს (როგორც Z&A LLC-ის დირექტორს) და Z&A Co LLC-ს შორის. ამ შეთანხმების თანახმად, Z&A Co LLC-ის მიერ გადასახდელი 590,000 ევროს სესხი კომპენსირდა ჯგუფის მიერ ღუკას ხაჩატრიანის მიმართ გადასახდელი 476,716 ევროს სესხით.

ჯგუფს მიღებული აქვს სხვადასხვა სასესხო ტრანშები ჰაიკ ხაჩატრიანისგან დოლარში და ლარში, 2016 და 2018 წლებში, 1-3 წლამდე დაფარვის ვადით და 0%-იანი წლიური საპროცენტო განაკვეთებით. ჯამურმა ტრანშებმა ორიგინალ ვალუტაში შეადგინა 644,738 დოლარი და 1,037,470 ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ განუხორციელებია სესხთან დაკავშირებული არცერთი გადახდა.

2023 წლის განმავლობაში, ჯგუფმა მიიღო ბანკის სესხები საქართველოს ბანკიდან, საერთო ჯამში 1,500 ათასი აშშ დოლარის (3,152 ათასი ლარი) ოდენობით, 3-წლიანი ვადით და საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთით 12%. სესხი მიღებული იქნა ქონებისა და აღჭურვილობის შეძენისა და განვითარების დასაფინანსებლად.

სესხებზე დარიცხული საერთო საპროცენტო ხარჯი შეადგენს 225 ათას ლარს 2023 წელს და 39 ათას ლარს 2022 წელს.

ყველა ზემოაღნიშნული სესხი დაკავშირებული მხარეებისგან არაუზრუნველყოფილია. სესხები საქართველოს ბანკიდან უზრუნველყოფილი იყო ჯგუფის ძირითადი საშუალებებით (შენიშვნა 10) და მარაგებით (შენიშვნა 13).

ჯგუფის სესხებში ცვლილებები 2023 და 2022 წლებში შემდეგია:

000' ქართული ლარი

	სულ
2022 წლის 1 იანვარი	6,492
ფულადი ნაკადების მოძრაობა	
აღება	-
დაფარვა	(1,825)
საპროცენტო გადახდები	(29)
არაფულადი ცვლილებები:	
დარიცხული პროცენტი	39
ჩათვლა	(201)
(მოგება)/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	(334)
2022 წლის 31 დეკემბერი	4,142
ფულადი ნაკადების მოძრაობა	
აღება	3,810
დაფარვა	(867)
საპროცენტო გადახდები	(224)
არაფულადი ცვლილებები	
დარიცხული პროცენტი	224
ჩათვლა	(1,357)
(მოგება)/ზარალი ვალუტის კურსის ცვლილებიდან	196
2023 წლის 31 დეკემბერი	5,924

15 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

000' ქართული ლარი

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	7,308	6,506
საიჯარო ვალდებულებები	274	274
გადასახდელი ბონუსები	-	58
მიღებული ავანსები	101	34
გადასახდელი ხელფასები	380	280
	8,063	7,152

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

16 საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული გადასახდელები

ჯგუფს საოპერაციო იჯარით აქვს აღებული კომერციული მაღაზიები. იჯარის ვადა საშუალოდ შეადგენს 10-15 წელს, რომელზე გადაიხდება ფიქსირებული და ცვლადი გადახდები, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვების მოცულობასთან იმავე პერიოდში.

000' ქართული ლარი	2023 წელი	2022 წელი
საოპერაციო იჯარის ფარგლებში მინიმალური გადახდები, რომლებიც აღიარებულია ხარჯად წლის განმავლობაში	6,009	5,096

წლის ბოლოსთვის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული არაგაუქმებადი გადასახდელი ვალდებულებები შემდეგია:

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	5,949	4,997
2-დან ხუთ წლამდე	10,482	13,119
5 წელზე მეტი	5,216	10,382
	21,647	28,498

17 კაპიტალი

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა ნულ ლარს, შესაბამისად კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან.

18 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	183	139
ფული საბანკო ანგარიშებზე	6,479	4,600
საბანკო გარანტია	2	-
	6,664	4,739

ფული საბანკო ანგარიშებზე განთავსებულია ბანკებში, რომელთა რეიტინგი S&P- ს რეიტინგის მიხედვით არის BB-.

19 გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

19.1 ვალდებულებები

ჯგუფს არ გააჩნია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19.2 სამართალწარმოება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოებაში. ხელმძღვანელობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით არსებით აღურიცხავ ზარალს არ მოელის და, შესაბამისად, მას წინამდებარე კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ანარიცხები არ გაუთვალისწინებია.

19.3 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ აქვს სრული დაფარვა მისი ქარხნის ობიექტების, საქმიანობის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობის შესახებ საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანის გამო, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის ქონებაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად ან დაკავშირებულია ჯგუფის ოპერაციებთან. სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვა ან განადგურება ან გარემოს ზიანს აყენებს არსებითად უარყოფით გავლენას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

19.4 გადასახადები

გადასახადები ექვემდებარება საგადასახადო ორგანოების მიერ განხილვასა და გამოძიებას, რომლებსაც კანონით აქვთ უფლება დააკისრონ ჯარიმები და სანქციები.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

19.5 გარემოს დაცვა

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები. თუმცა საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელმაც შესაძლოა მომავალში წარმოშვას მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

20 შემდგომი მოვლენები

მნიშვნელოვან მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენებს, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე, ადგილი არ ჰქონია.

21 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ დამფუძნებლები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ხელმძღვანელობა, როგორც მოცემულია ქვემოთ.

21.1 საკონტროლო ურთიერთობები

შპს „პან ეუროპიან ფემენ გრუფი“-ს დამფუძნებლებს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენენ :

- ჰაიკ ხაჩატრიანი (AR0614519, სომხეთი) - (50%) და;
- შპს „ზეტ ენდ ეი“ (00859794, 39157427, სომხეთი)- (50%), რომლის მფლობელია ფიზიკური პირი ლუკას ხაჩატრიანი (AP0541596, სომხეთი).

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის დირექტორი იყო ნინო ხულეღიძე.

21.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშო წლის განმავლობაში ჯგუფს ჰქონდა შემდეგი დაუფარავი ტრანზაქციები და ბალანსები დაკავშირებულ მხარეებთან. კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების, რომლებიც კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან, ტრანზაქციები კონსოლიდაციისას ელიმინირებულია და ამ შენიშვნაში არ არის გამჟღავნებული.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს „პან ეუროპიან ფემენ გრუფ“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (წარმოდგენილია 000' ქართულ ლარებში)

2023 000' ქართული ლარი	მფლობელები	შვილობილი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ტრანზაქციები				
საქონლისა და				
მომსახურების გაყიდვა	-	1,088	3	1,091
მარაგების შეძენა	-	424	-	424
სესხების გაცემა	-	277	-	277
მომსახურების შეძენა	-	327	-	327
ხელფასის ხარჯები	-	-	40	40
ფინანსური ხარჯები	-	-	-	-
ფინანსური შემოსავლები	-	34	-	34
დივიდენდები	-	-	-	-
დაუფარავი ბალანსები				
გაცემული სესხები	-	950	-	950
დარიცხული პროცენტის				
მოთხოვნა	-	24	-	24
გადახდილი ავანსები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა				
გადასახდელები	-	48	-	48
მიღებული სესხები	-	-	2,771	2,771

2022 000' ქართული ლარი	მფლობელები	შვილობილი კომპანიები	სხვა დაკავშირებული მხარეები	სულ
ტრანზაქციები				
საქონლისა და				
მომსახურების გაყიდვა	-	33	238	271
მარაგების შეძენა	-	20	-	20
სესხების გაცემა	-	3,968	-	3,968
მომსახურების შეძენა	-	-	-	-
ხელფასის ხარჯები	-	-	48	48
ფინანსური ხარჯები	-	4	-	4
ფინანსური შემოსავლები	-	36	-	36
დივიდენდები	-	-	-	-
დაუფარავი ბალანსები				
გაცემული სესხები	-	2,080	-	2,080
დარიცხული პროცენტის				
მოთხოვნა	-	75	-	75
გადახდილი ავანსები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა				
გადასახდელები	-	1	-	1
მიღებული სესხები	-	-	4,142	4,142

21.3 ტრანზაქციები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები:

000' ქართული ლარი	2023 წელი	2022 წელი
ხელფასები და ბონუსები	290	300

21.4 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ და გამოსაცემად უფლებამოსილია 2024 წლის 24 დეკემბერს.

2023 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

1. ჯგუფის ძირითადი საქმიანობის აღწერა

შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფ“ (შემდგომში „ჯგუფი“) დაარსდა 2019 წლის 26 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404590518. ჯგუფი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, თავისუფლების მოედანი, N2.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მფლობელები იყვნენ: ჰაიკ ხაჩატურიანი (სომხეთი) და „ზეთ & ა“ შპს (სომხეთი), თითოეული მათგანი ფლობს 50%-იან წილს. 2021 წლის ივლისიდან ჯგუფის დირექტორია ნინო ხუთელიძე.

2019 წლის 26 დეკემბერს შპს „ზეთ ენდ ეი“-მ შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფ“-ში შეიტანა მისი 100%-იანი წილი შპს „ISOLA-G“-ში, და შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფ“ დარეგისტრირდა შპს „ISOLA-G“-ს წილის 100%-ის მესაკუთრედ.

ასევე, ჰაიკ ხაჩატურიანმა შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფ“-ში შეიტანა მისი 100%-იანი წილი შპს „ლიდერ სისტემ“-ში, და შპს „პან ეუროფიან ფეშენ გრუფ“ დარეგისტრირდა შპს „ლიდერ სისტემ“-ის წილის 100%-ის მესაკუთრედ. შესაბამისად ჯგუფი ფლობს შპს „ISOLA-G“-ის 50%-იან წილს და შპს „ლიდერ სისტემ“-ის 50%-იან წილს ერთობლივად მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

შპს „ISOLA G“ დაფუძნებულია 2012 წელს ხოლო შპს „ლიდერ სისტემი“ - 2011 წელს. ჯგუფის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. ჯგუფის საქმიანობის ორგანიზაციისათვის პარტნიორთა კრების მიერ იქმნება დირექცია, რომელსაც სათავეში უდგას დირექტორი და რომელიც მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ჯგუფის ინტერესებს ყველა ორგანიზაციისა და უწყების წინაშე. ის ორგანიზებას უწყევს კრების გადაწყვეტილებების შესრულებას და წყვეტს საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ყველა საკითხს.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული ტანსაცმლითა და აქსესუარებით, ასევე სამშენებლო მასალებით ვაჭრობა. კომპანიის ფიზიკური მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია.

2. ჯგუფის ფილიალები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს ISOLA-G ფლობს 5 ფილიალს, რომელთაგან სამი ფილიალი დაფუძნდა 2012-დან 2019-მდე პერიოდში, ხოლო საბურთალოს სითი მოლში და ბათუმის მეტრო სითიში გაიხსნა ფილიალები 2020 და 2019 წლებში. რაც შეეხება შპს „ლიდერ სისტემს“ - ფლობს 2 ფილიალს და ორ საწყობს, რომელთაგან პირველი ფილიალი, სამშენებლო, გაიხსნა 2011 წელს, ხოლო ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და აქსესუარების მაღაზია „Burberry“ გაიხსნა 2012 წელს, ორი საწყობი გაიხსნა 2012-დან 2019-მდე პერიოდში, ქუთაისსა და ბათუმში. ჯგუფი მუდმივად ცდილობს ქვეყნის მასშტაბით წარმოადგინოს მრავალფეროვანი პროდუქცია და საქმიანობის სფეროს ფარგლებში გააფართოოს მომხმარებლების რაოდენობა.

3. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასეთია:

000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი	47,390	46,055
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(20,800)	(18,906)
მთლიანი მოგება	26,590	27,149
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	(2,735)	(1,953)
ადმინისტრაციული ხარჯები	(19,249)	(16,938)
არადაბრუნებადი საგადასახადო აქტივების ჩამოწერა	-	(323)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	4,605	7,935
ფინანსური შემოსავალი	34	54
ფინანსური ხარჯი	(225)	(39)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(419)	(93)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	688	536
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(1,165)	(12)
წლის მოგება მოგების გადასახადამდე	3,518	8,381
მოგების გადასახადის ხარჯი	(31)	(26)
წლის მოგება	3,487	8,355
წლის მთლიანი სრული მოგება	3,487	8,355
000' ქართული ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	7,132	4,203
არამატერიალური აქტივები	42	13
	7,174	4,216
მოკლევადიანი აქტივები		
სასაქონლო მატერიალური მარაგები	11,941	10,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,018	465
გაცემული სესხები	950	2,080
მისაღები პროცენტები	24	75
გადახდილი ავანსები	2,213	2,989
საგადასახადო აქტივი, წმინდა	1,007	431
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6,664	4,739
	24,817	21,399

სულ აქტივები	31,991	25,615
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი და რეზერვები		
აკუმულირებული მოგება	17,808	14,321
	17,808	14,321
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	1,701	-
	1,701	-
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,259	7,152
სესხები	4,223	4,142
	12,482	11,294
სულ ვალდებულებები	14,183	11,294
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	31,991	25,615

	2023	2022
საერთო მოგების მარჟა (საერთო მოგება/ამონაგები)	56.09%	58.95%
საოპერაციო მოგების მარჟა (საოპერაციო მოგება/ამონაგები)	9.71%	17.23%
წმინდა მოგების მარჟა (წმინდა მოგება/ამონაგები)	7.35%	18.14%
აქტივებზე უკუგება (წმინდა მოგება/საშუალო აქტივები)	12.10%	32.62%

ჯგუფის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური კოეფიციენტები 000' ქართული ლარი	2023	2022
სულ მიმდინარე აქტივები	24,817	21,399
სულ მიმდინარე ვალდებულებები	12,484	11,294
სულ კაპიტალი	17,808	14,321

ჯგუფის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები:

	2023	2022	ცვლილება
სამუშაო ადგილების რაოდენობა	157	195	-38

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

4. ჯგუფის მართვა და სტრუქტურული ერთეულები

შპს „ISOLA G“-ის და შპს „ლიდერ სისტემის“ მართვის სტრუქტურა წარმოადგენს თანამშრომელთა დაქვემდებარების სქემას. სქემაზე თითოეული თანამშრომლისათვის განსაზღვრულია უშუალო ხელმძღვანელის, მაკონტროლებელი პირისა და დაქვემდებარებული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პოზიცია.

- მარკეტინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მარკეტინგის განყოფილება.
- მაღაზიათა ქსელის ადმინისტრირების განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება თანაშემწე და ქსელში არსებული ყველა მაღაზიის მენეჯერი.
- მერჩენდაიზინგის დირექტორს პირდაპირ ექვემდებარება მერჩენდაიზინგისა და გაყიდვების სამსახურები, ასევე ვიზუალური მერჩენდაიზინგის გუნდი.
- მონიტორინგის განყოფილების უფროსს პირდაპირ ექვემდებარება მონიტორინგის სპეციალისტი.
- ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება მოიცავს რამდენიმე სამსახურს: ლოჯისტიკის სამსახური, ტექნიკური სამსახური, საწყობი, ასევე განყოფილებაში მოიაზრებიან ოფისის მენეჯერები და ოფისის დიასახლისი.

5. ჯგუფის მიერ განხორციელებული გეგმები და განვითარების სტრატეგიები

2023 წლიდან ჯგუფი აქტიურად დგამს ნაბიჯებს ახალი ფილიალების გახსნისა და განვითარებისათვის:

- მიმდინარეობს მარაგების სიდრმისეული ანალიზი.
- შემუშავდა ახალი მარაგების მართვის კოეფიციენტები, რის მიხედვითაც უფრო სწრაფად და ეფექტურად ხდება შეკვეთების გაკეთება და მომავლის პროგნოზირება.
- გადაიხდა საიჯარო პირობები და კიდევ მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა.
- გაძლიერდა გაყიდვების ჯგუფი. შემუშავდა ახალი ანალიტიკური რეპორტები, რომელსაც ცოცხალ რეჟიმში უყურებენ და სწრაფად ახდენენ რეაგირებას.
- გაუმჯობესდა თანამშრომლობის პირობები პარტნიორებთან.
- განახლდა პროგრამა, განახლების შედეგად გავხდით უფრო მოქნილები მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინების კუთხით.

ჯგუფის მთავარ აქტივს მისი თანამშრომლები წარმოადგენენ. 2019 წელს დაიხვეწა სახელფასო სისტემა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტები, რაც მიზნად ისახავს თანამშრომლების მოტივირებას, მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფასა და თითოეულ დასაქმებულში სტაბილურობის შეგრძნების გაზრდას. აღნიშნული ცვლილებები დადებითად აისახება თანამშრომლების კეთილდღეობაზე და ეფექტურად იმოქმედებს ჯგუფის საერთო წარმატებაზე. ბონუსების სისტემა შეიქმნა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება თითოეული თანამშრომლის ხელფასი. ეს სისტემა მიზნად ისახავს თანამშრომლების შემდგომ მოტივაციას და მათი საერთო კომპენსაციის პაკეტის გაუმჯობესებას.

6. ჯგუფის რისკების მართვა

ჯგუფის მენეჯმენტი იღებს სრულ პასუხისმგებლობას რისკების განსაზღვრა/მართვაზე. ამისთვის მუდმივად ხდება მოსალოდნელი რისკების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი, მონიტორინგი, მნიშვნელობის განსაზღვრა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმების შემუშავება.

განვითარებადი ბაზრის რისკები, როგორიცაა ხშირად ცვალებადი საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები, რომელიც მოითხოვს ბიზნესს პროცესების ხშირ გადაწყობას, დამატებით ხარჯებს თუ რიგ შემთხვევებში დანაშაულებს. ამ რისკების სამართავად ჯგუფი იყენებს, როგორც შიდა

ჯგუფი იყენებს როგორც შიდა რესურსებს, ასევე ქირობს გარე კონსულტანტებს პოტენციური რისკების შესაფასებლად და სამართავად. ამ კონსულტანტებთან ერთად, ჯგუფი აფასებს და ითვალისწინებს მოსალოდნელ რისკებს.

ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა - რადგან ჯგუფის ხარჯების მნიშვნელოვან წილს შეადგენს იმპორტირებული პროდუქცია და ისინი დენომინირებულია აშშ დოლარში ან ევროში, ხოლო ჯგუფის შემოსავლები ლარში. ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანი რისკია და პირდაპირ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე. ამ კუთხით მენეჯმენტი გეგმების მიხედვით აანალიზებს და იღებს გადაწყვეტილებას გამოიყენოს თუ არა სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორიცაა მაგალითად ვალუტის დაზღვევა.

საოპერაციო რისკები

ჯგუფს ამ ეტაპზე არ გააჩნია ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევა, რაც შეიძლება იწვევდეს რიგ უკმაყოფილებას თანამშრომლებში. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი დასაქმებულების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და უზრუნველყოფა ამ კუთხით, ასევე ღირსეული კონკურენტუნარიანობა ბაზარზე.

შექმნილია დეპარტამენტი, რომელიც ახდენს სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიებისგან შეთავაზებების შეგროვებას, რათა უახლოს მომავალში დავწეროთ ეს სისტემა.

ფინანსური რისკები

საოპერაციო რისკების გარდა, ჯგუფი საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ჯგუფის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. უნდა აღინიშნოს რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების წინაშე საქმიანობის თავისებურებიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოადგენს საცალო-სავაჭრო ჯგუფის მნიშვნელოვან წევრს. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ჯგუფი საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. აღნიშნული რისკი მოიცავს საბაზრო პირობების ცვლილებების შესაძლო გავლენას ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე.

ლიკვიდურობის რისკი იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი, ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს, რადგან მას აქვს ფინანსური ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით როგორც მიმდინარე, ასევე შედარებით პერიოდებში.

სავალუტო რისკი, ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყეობს უცხოური ვალუტის კურსების ცვლილების გამო. ჯგუფი აწყდება სავალუტო რისკს, რადგან მისი ფინანსური ინსტრუმენტები ექვემდებარება ვალუტის კურსების ცვალებადობას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 24 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

ჯგუფის დირექტორი:

ნინო ხუთელიძე

ნ. ხუთელიძე